Cour
Pénale
Internationale

International
Criminal
Court

დედანი: ინგლისურ ენაზე

No.: **ICC-01/11-01/11**
Date: **4 ივნისი 2011**

წინა საპროცესო განხილვის პალატა I

განიხილავენ: მოსამართლე სანჯი მასენონო მონაგენგი,
კოლეგიის თავმჯდომარე
მოსამართლე სილვია სტაინერი
მოსამართლე კუნო ტარფუსერი

ლიბიის არაბულ ჯამაჰირიაში შექმნილი ვითარება

სარჩელის სახელწოდება
პროკურორი მუამარ მოჰამედ აბუ მინიარ გადაფის, საიფ ალ-ისლამ გადაფისა და აბდულა ალ-სენუსის წინააღმდეგ

საჯარო დოკუმენტი თხოვნა რომის კანონმდებლობაში შემავალი წევრი ქვეყნებისადმი მუამარ მოჰამედ აბუ მინიარ გადაფის, საიფ ალ-ისლამ გადაფისა და აბდულა ალ-სენუნის გადაცემის შესახებ

წყარო: რეგისტრატორი

სასამართლოს დადგენილების 31 რეგლამენტის თანახმად, ამ დოკუმენტის შესახებ უნდა ეცნობოს შემდეგ პირებს:

პროკურატურას
პროკურორს, ბატონ ლუის მორენო ოკამპოს
პროკურორის მოადგილეს, ქალბატონ ფატუ ბენსუდას

მოპასუხეების დამცველ ადვოკატს

დაზარალებულთა იურიდიულ წარმომადგენლებს

მოსარჩლეთა იურიდიულ წარმომადგენლებს

დაზარალებულ პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ საადვოკატო მომსახურებით

მოსარჩლე პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ საადვოკატო მომსახურებით (მონაწილეობის/რეპარაციისათვის)

დაზარალებულთა საჯარო დაცვის ადვოკატურას

მოპასუხეთა საჯარო დაცვის ადვოკატურას

ქვეყნების წარმომადგენლებს

სასამართლო ექსპერტებს

რეესტრი

რეგისტრატორი
ქ-ნი სილვანა არბია
რეგისტრატორის მოადგილე
ბ-ნი დიდიერ პრეირა

მოპასუხეთა დახმარების განყოფილება

დაზარალებულთა და მოწმეთა ქვედანაყოფი

საპატიმრო განყოფილება

დაზარალებულთა მონაწილეობისა და რეპარაციის განყოფილება

სხვა

საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს (“სასამართლო”) რეგისტრატორი;

აცნობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ სასამართლოს პროკურორის სახელზე 2011 წლის 26 თებერვალს განსახილველად გადაცემულ რეზოლუციას (“რეზოლუცია”) S/RES/1970, 2011 წლის 15 თებერვლიდან ლიბიის ჯამაჰირიაში შექმნილი ვითარების შესახებ;

აცნობს “2011 წლის 16 მაისის პროკურორის განცხადებას მუამარ აბუ მინიარ გადაფის, საიფ ალ-ისლამ გადაფისა და აბდულა ალ-სენუსის შესახებ, 58 მუხლის თანახმად;[1]

აცნობს “‘58 მუხლის თანახმად პროკურორის განცხადებაზე მუამარ აბუ მინიარ გადაფის, საიფ ალ-ისლამ გადაფისა და აბდულა ალ-სენუსის’ თაობაზე წინა საპროცესო პალატა I-ის მიერ 2011 წლის 27 ივნისს გადაწყვეტილების მიღების შესახებ;’”[2]

აცნობს წინა საპროცესო პალატა I-ის მიერ 2011 წლის 27 ივნისს გამოცემულ დაპატიმრების ორდერებს სამ პიროვნებაზე: მუამარ მოჰამედ აბუ მინიარ გადაფზე, საიფ ალ-ისლამ გადაფსა და აბდულა ალ-სენუსზე;[3]

აცნობს რომის კანონმდებლობის (“კანონმდებლობა”) მუხლებს 57-დან 60-მდე, 87, 89, 91 და 97 , სამართალწარმოებისა და მტკიცებულების ნორმებს (“ნორმები”) 117, 176, 184, 187 და 196 და სასამართლო დადგენილების რეგლამენტებს 31 და 111 (“რეგლამენტები”);

---

[1] ICC-01/11-4-Red.
[2] ICC-01/11-12.
[3] ICC-01/11-01/11-2; ICC-01/11-01/11-3; ICC-01/11-01/11-4.

განიხილავს, რომ პალატამ ბრძანება გასცა რეესტრის სახელზე თანამშრომლობის შესახებ თხოვნის მომზადებისა და მისი რომის კანონმდებლობაში შემავალ ყველა ქვეყანაზე გადაცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მუამარ მოჰამედ აბუ მინიარ გადაფის, საიფ ალ-ისლამ გადაფისა და აბდულა ალ-სენუსის გადაცემასა და დაპატიმრებას. ბრძანებას თან ერთვის ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებსაც მოითხოვს კანონმდებლობის მუხლები 89(1) და 91 და რომლებიც გათვალისწინებულია სამართალწარმოების ნორმების 187 ნორმით;

სთხოვს კანონმდებლობაში შემავალ ყველა ქვეყანას, რომ დააპატიმროს და სასამართლოს გადასცეს შემდეგი პირები:

გვარი: გადაფი სახელ(ებ)ი: მუამარ მოჰამედ აბუ მინიარი ალტერნატიული გვარები: გადაფი, გადჰაფი, ან კადაფი დაბადების წელი: 1942 დაბადების ადგილი: ლიბიის ქალაქ სირტეს ახლოს ეროვნება: ლიბიელი პროფესია: ლიბიის არაბული ჯამაჰირიის შეიარაღებული ძალების მეთაური, რევოლუციის ლიდერის ტიტულით და ლიბიის სახელმწიფოს მეთაურის როლის შემსრულებელი. შესაძლო ადგილ-სამყოფელი: ლიბია აღწერა: სურათი დართულია

გვარი: გადაფი სახელ(ებ)ი: საიფ ალ-ისლამი ალტერნატიული გვარები: გადაფი, გადჰაფი, ან კადაფი დაბადების თარიღი: 25 ივნისი 1972 დაბადების ადგილი: ტრიპოლი, ლიბია ეროვნება: ლიბიელი პროფესია: გადაფის საერთაშორისო საქველმოქმედო და განვითარების ფონდის საპატიო ხელმძღვანელი, ლიბიის მოქმედი *დე ფაქტო* პრემიერ მინისტრი შესაძლო ადგილ-სამყოფელი: ლიბია აღწერა: სურათი დართულია

გვარი: ალ-სენუსი სახელ(ებ)ი: აბდულა ალტერნატიული გვარები: მოცემული არ არის დაბადების თარიღი: 1949 დაბადების ადგილი: სუდანი ეროვნება: ლიბიელი პროფესია: ლიბიის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი და ამჟამად სამხედრო სადაზვერვო სამსახურის უფროსი, წარსულში ორგანიზაცია ცნობილი იყო სახელით: ჯამაჰირიის უშიშროების ორგანო შესაძლო ადგილ-სამყოფელი: ლიბია აღწერა: სურათი დართულია

სთხოვს კანონმდებლობის ყველა წევრ ქვეყანას დაემორჩილოს კანონმდებლობის ნორმების მუხლებს 59, 89(2) და 89(4) და სამართალწარმოებისა და მტკიცებულების ნორმების 117 ნორმას;

სთხოვს კანონმდებლობის ყველა წევრ ქვეყანას, რომ სასამართლოს შეატყობინოს ნებისმიერი განცხადების შესახებ, რომელიც გაკეთებული იქნება კანონმდებლობის 59(3) და 89(2) მუხლების შესაბამისად;

სთხოვს კანონმდებლობის ყველა წევრ ქვეყანას, რომ კანონმდებლობის 97 მუხლის თანახმად, სასამართლოს შეატყობინოს ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ამ თხოვნის განხორციელებას, ან მასთან წინააღმდეგობაში მოვიდეს;

სთხოვს კანონმდებლობის ყველა წევრ ქვეყანას, რომ შეატყობინოს რეესტრს, როდესაც რეგლამენტის 184 ნორმის თანახმად, სასამართლოს მიერ ძიებაში მყოფი პირები გადასაცემად მზად იქნებიან;

თან ურთავს ამ თხოვნას შემდეგ საბუთებს კანონმდებლობის 87(2) და 91(2) მუხლების თანახმად და რეგლამენტის 187(1) ნორმის თანახმად:

- დაპატიმრების ორდერის დედნის ასლებს;
- დაპატიმრების ორდერის ასლებს იმ ენაზე, რომელიც სახელმწიფომ აირჩია კანონმდებლობის რატიფიკაციისას და იმ ენაზე, რომელზეც საუბრობენ დაპატიმრების ორდერში ასახული პირები;
- კანონმდებლობის შესაბამისი დადგენილების ასლი იმ ენაზე, რომელზეც საუბრობენ დაპატიმრების ორდერში ასახული პირები.

სილვანა არბია, რეგისტრატორი
/ხელმოწერილია/

თარიღი: 2011 წლის 4 ივლისი

ჰააგა, ნიდერლანდები